

საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის ეთიკის კოდექსი

პრეამბულა

წინამდებარე ეთიკის კოდექსით ჩვენ, საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის წევრი კომპანიები ვადასტურებთ ჩვენს გადაწყვეტილებას, ქართული საზოგადოების მიმართ ვიმოქმედოთ და წარვმართოთ ჩვენი საქმიანობა საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული ეთიკის ნორმების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მიზნად ვისახავთ ხელი შევუწყოთ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ისეთი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას, რომელშიც ეთიკური ბიზნეს ქმედება და გონივრული მმართველობა იქნება დაფასებული და წახალისებული და გადაწყვეტილებათა მიღების ძირითადი საფუძველი გახდება.

შესაბამისად, ჩვენი საქმიანობისას ვეყრდნობით მოცემულ ეთიკის კოდექსს, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების ოგითშეფასებისა და ოგითრეგულირების ინსტრუმენტს.

ჩვენი დრმა რწმენით, ეთიკის კოდექსი ხელს შეუწყობს სადაზღვევო კომპანიების მხრიდა ბიზნესის წარმოების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას და მის მაქსიმალურ ორიენტირებულობას მომხმარებლის ინტერესებსა და უფლებებზე.

ვაცნობიერებთ რა, რომ კორპორატიული და სოციალური პასუხისმგებლობის ზრდა, ახალი ფასეულობების დამკვიდრება და ბიზნესის შიდა ორგანიზაციული

კულტურის გაუმჯობესება დადებით გავლენას მოახდენს საქართველოს სადაზღვევო გარემოზე და გააუმჯობესებს სადაზღვევო კომპანიების იმიჯს მომხმარებლებს, ინვესტორებსა და პარტნიორებს შორის, გამოვთქმამთ მზადყოფნას, საქმიანობა ვაწარმოოთ ეთიკის კოდექსის ნორმების განუხელი დაცვით.

ეთიკის კოდექსი წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის წევრი ყველა კომპანიისთვის, რომელსაც სურს პასუხისმგებლური კორპორატიული ქცევის მქონე პირის რეპუტაციით წარსდგეს ქართული საზოგადოების წინაშე.

იგი განსაზღვრავს სადაზღვევო სექტორის განვითარების ეთიკურ ჩარჩოებს და ძირითად ფასეულობებს:

ძირითადი ფასეულებები

ანგარიშგალდებულება – საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის უნარი

**კეთილსინდისიერება – დაინტერესებულ მხარეებთან
თანამშრომლობისას**

სამართლიანობა – ყველა ურთიერთობაში

**პატიოსნება და ერთიანობა – პატიოსნება, გუნდის ერთიანობა, აღებული
ვალდებულებების შესრულება**

გამჭვირვალობა – ღიად მოქმედება და ინფორმაციის გაზიარება

**სანდოობა – საკუთარი ქმედებებით ნდობისა და საიმედობის
რეპუტაციის ჩამოყალიბება**

აღნიშნული ფასეულობები ეხება მოცემულ დოკუმენტში ჩამოყალიბებულ
ყველა ტიპის ურთიერთობებს და წარმოადგენს ყველა ბიზნეს-ურთიერთობის
საფუძველს.

საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის ეთიკის კოდექსის ფასეულობებს
სადაზღვევო კომპანიები იყენებენ იმ ქმედებებში, რომლებიც გავლენას ახდენენ
საზოგადოებაზე.

სადაზღვევო კომპანიები მუდმივ კონტაქტში არიან და თანამშრომლობებს
საზოგადოებასთან.

სადაზღვევო კომპანიები ითვალისწინებენ მომხმარებელთა უფლებებს,
აწარმოებს მათ მოთხოვნებზე მაქსიმალურად მორგებულ პროდუქტებს და
მოქმედებენ კანონის ფარგლებში.

სადაზღვევო კომპანიები ტოლერანტული არიან და საქმიანობაში არ ეწევიან
რელიგიური, კულტურული, სქესობრივი, რასობრივი, ეროვნული, ასაკობრივი
თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციას.

სადაზღვევო კომპანიებს საკუთარი წვლილი შეაქვთ საზოგადოებრივი
პრობლემების გადაჭრაში იმ თემში, სადაც მათ უწევს მუშაობა.

ამ პრინციპებზე დაყრდნობით შექმნილი წინამდებარე ეთიკის კოდექსი
წარმოადგენს სადაზღვევო ასოციაციის, მისი წევრი სადაზღვევო კომპანიების,
ასევე მათი ხელმძღვანელი პირების ქცევის ნორმათა ერთობლიობას, ამ
ნორმების დაცვის გარანტიებს და პასუხიმსგებლობას ამ ნორმათა
დარღვევისთვის.

კოდექსის მიზანს და მოქმედების საგანს, სადაზღვევო ბიზნესის ზოგად
ეთიკურ პრინციპებთან ერთად, წარმოადგენს საგანგებო ნორმებისა და
ეთიკური პრინციპების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება მზღვეველების
პრაქტიკაში.

კოდექსის დაცვა, სადაზღვევო საქმის პრინციპების ნორმების განუხრელი
ერთგულება მოწოდებულია, აამაღლოს მთელი სადაზღვევო სექტორის
საქმიანობის პრესტიჟი და ეფექტიანობა, გააღრმავოს და გააძლიეროს
სადაზღვევო კომპანიებსა და კლიენტთა შორის თანამშრომლობა
კეთილსინდისიერების, ურთიერთპატივისცემის, თანადგომის და ნაკისრ
ვალდებულებათა განუხრელად შესრულების საფუძველზე.

1. ძირითადი დებულებები

მუხლი 1.

1.1. საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის ეთიკის კოდექსი არის სადაზღვევო ასოციაციის, მისი წევრი კომპანიების და ამ კომპანიათა ხელმძღვანელი პირების საქმიანობის თვითორეგულირების ინსტრუმენტი, რომელიც ეფუძნება საქმიანი ეთიკის ნორმებს და არის სადაზღვევო ბაზრის ფუნქციონირების ერთიანი სამართლებრივი და მორალური უზრუნველყოფის სისტემის მნიშვნელოვანი რგოლი.

1.2. საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის წევრი სადაზღვევო კომპანიები ახორციელებენ საკუთარ პროფესიულ საქმიანობას საქართველოს კონსტიტუციის, „დაზღვევის შესახებ კანონის“, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონის“, მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების, აღრიცხვის ფინანსური სტანდარტების, სადაზღვევო ბაზრის მარეგულირებელი ორგანოს ნორმატიული აქტების, ზნეობრიობის და საქმიანი ურთიერთობების საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე.

საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის წევრი სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის რეგულირების ეთიკური მექანიზმი თავის მხრივ ავსებს მოქმედ ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ მექანიზმებს და მისი როლი გაიზრდება საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ზრდის და სადაზღვევო ბაზრის განვითარების და მისი ფუნქციის და მნიშვნელობის მატების კვალობაზე.

1.3. კოდექსის დებულებები, რომლებიც ეფუძნება საზოგადოებრივი მორალისა და კორპორატიული ქცევის საუკეთესო პრაქტიკის ნორმებს, ასევე მომხმარებლის და მისი ინეტერესის პატივისცემისა და მისი უფლებების პრიორიტეტულობის აღიარებას, შესასრულებლად სავალდებულოა სადაზღვევო ასოციაციის წევრი ყველა კომპანიისთვის.

კოდექსი ასახავს მომხმარებელზე ორიენტირებული სადაზღვევო ინდუსტრიის ფუნქციონირების კონკრეტულ საჭიროებებს და კლიენტის ინტერესების დაცვისთვის აუცილებელ პირობებს.

კოდექსი ადგენს ძირითადი მორალური ნორმების განმსაზღვრელ კორპორატიული ქცევის, კეთილსინდისიერი საქმიანობის, აქციონერების, მზღვევების, დაზღვეულების, ბიზნეს-პარტნიორების მიმართ სამართლიანი დამოკიდებულების წესების ერთობლიობას, ასევე გადაწყვეტილებათა მიღების გამჭვირვალობის, ხელმძღვანელი პირების პროფესიული და ეთიკური პასუხისმგებლობის განსაზღვრის, ინფორმაციული ღიაობის და ეთიკის განვითარების მექანიზმებს.

კოდექსი წარმოადგენს წესების ერთობლიობას, რომელთა დაცვაც ნავალდებულევია მასზე ხელისმომწერი სადაზღვევო კომპანიების მიერ და ეფუძნება სურვილს, გაზარდოს სადაზღვევო ინდუსტრიის მიმზიდევლობა ინვესტორების, პარტნიორების და კლიენტების მხრიდან

და განუხერელად დაიცვას ნებისმიერი სადაზღვევო პროდუქტის მომხმარებლის უფლებები.

- 1.4. კოდექსის მოქმედება ვრცელდება საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის წევრ უველა კომპანიაზე, მათ მენეჯერებსა და თანამშრომლებზე, რომლებიც საქმიანობენ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 1.5. სადაზღვევო კომპანიების მხრიდან კოდექსის დებულებების შესრულება არის დამატებითი გარანტია და მიუთითებს მათ პროფესიონალიზმზე, მომხმარებელზე ორიენტირებულობაზე, სანდოობაზე და საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან, ასევე საზოგადოებაში მიღებულ მორალურ ნორმებთან და საქმიანი სამყაროს ფუნქციონირების საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაზე.
2. სადაზღვევო ასოციაციის ზოგადი ეთიკური პრინციპები, სამართლებრივი ნორმები, მიზნები და საქმიანობის სფეროები

მუხლი 2.

- 2.1. სადაზღვევო ასოციაციის წევრი სადაზღვევო კომპანიების პროფესიულ საქმიანობას შეადგენს კლიენტებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, საქმიან პარტნიორებთან, მათ შორის, სადაზღვევო ბაზრის სხვა მონაწილეებთან, მათ გაერთიანებებთან, ასევე მათ აქციონერებთან და თანამშრომლებთან სამოქალაქო-სამართლებრივი და სხვა ურთიერთობების ერთობლიობა, რომელიც წარმოიქმნება ამ ორგანიზაციების მიერ საკუთარი მიზნების განხოციელების პროცესში.

ამ ურთიერთობების ნორმალიზების და სადაზღვევო ინდუსტრიის განვითარებისთვის აუცილებელი წინაპირობების შექმნის მიზნით, სადაზღვევო ასიციაციის წევრი კომპანიები თანხმდებიან, განუხერელად დაიცვან საქართველოს სადაზღვევო ბიზნესის ფუნქციონირების 10 ფუძემდებლური პრინციპი:

1. კანონთან ურთიერთობისას ბიზნესი აღიარებს მოქმედი კანონმდებლობის დაცვის აუცილებლობას, რომელიც უზრუნველყოფს საქმიანი აქტივობის თანაბარ შესაძლებლობებს ბაზრის უველა მონაწილისთვის.
2. ხელისუფლებასთან ურთიერთობისას ბიზნესი გამოდის თანასწორუფლებიან პარტნიორად და გამორიცხავს ხელისუფლების ნიბისმიერი შტოს წარმომადგენლებზე უკანონო ზემოქმედების პირდაპირ და ირიბ მცდელობებს.
3. კლიენტთან ურთიერთობისას ბიზნესი უზრუნველყოფს სერვისის მიწოდების უველა მოქმედი ნორმის და წესის დაცვას და ნაკისრი გალდებულებების შესრულებას, ასევე უურადღებიან და

მიუკერძოებელ დამოკიდებულებას კლიენტის შემოთავაზებებისა და საჩივრების მიმართ.

4. მფლობელებთან და ინვესტორებთან ურთიერთობისას ბიზნესი უზრუნველყოფს მართვის პროცესიულ დონეს, ინფორმაციაზე სრულ ხელმისაწვდომობას, რაც შეიზღუდება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებითა და კონკურენციის პირობებით.
5. თანამშრომლებთან ურთიერთობაში ბიზნესი უზრუნველყოფს მათ შრომის ანაზღაურებას და პირობებს, რომლებიც არ აზიანებს მათ ჯანმრთელობას და ადამიანურ ღირსებას, გამორიცხავს დისკრიმინაციის ნებიმიერ გამვლინებას.
6. პარტნორებთან ურთიერთობაში ბიზნესი ეფუძნება ურთიერთპატივისცემას, მიღწეული შეთანხმებების დაცვას და მისწრაფებას, იძულებითი ნაბიჯების თავიდან აცილებისკენ.
7. კონკურენტებთან მიმართებაში ბიზნესი ხელმძღვანელობს იმ რწმენით, რომ ჯანმრთელი კონკურენცია ხელს უწყობს საქონლის და სერვისების უფრო სამართლიან გადანაწილებას და პატივს სცემს კონკურენტების ფიზიკურ და ინტელექტუალურ უფლებას საკუთრებაზე.
8. საზოგადოებასთან ურთიერთობისას ბიზნესი ავლენს სათანადო პასუხისმგებლობას გატარებული პოლიტიკისათვის, თავს იკავებს ქმედებებისგან, რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს სოციალური დაბაბულობის ზრდა, უზრუნველყოფს საკუთარ ეკონომიკურ მდგრადობას და განვითარებას.
9. გარემოსთან ურთიერთობისას ბიზნესი იცავს და, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, აუმჯობესებს გარემოს და თავი იკავებს ბინებრივ რესურსების არარაციონალური გამოყენებისგან.
10. გარე სამყაროსთან ურთიერთობისას ბიზნესი ორიენტირებულია საყოველთაო პროგრესსა და კეთილდღეობაზე.

მუხლი 3.

3.1. სადაზღვევო ასოციაციის წევრი კომპანიების მხრიდან საკუთარი საქმიანობის პროცესში ეთიკური ნორმებით ხელმძღვანელობა დიდ მნიშვნელობას იძენს სადაზღვევო საქმის ორგანიზების შემდეგი მიზნების მისაღწევად:

- დაზღვევის სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება მისი მუდმივი განვითარებისა და შეუძლებელი ფუნქციონირებისათვის;
- დაზღვევის დადგენილი პრინციპების რეალიზაცია და დაზღვევის მექანიზმების ფორმირება საქართველოს მოქალაქეების და სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

- სადაზღვევო ბაზარზე არაკეთილსინდისიერი საქმიანობის პრაქტიკის აღმოფხვრა, არაკეთილსინდისიერი მონაწილეების გამოვლენა, კოდექსის დებულებების დამრღვევთა და კონკრეტული დარღვევების შესახებ ინფორმაციის განსაჯარობა;
- უკანონო გზით მიღებული შემოსავლების გათეორების და სადაზღვევო სფეროში კანონსაწინააღმდეგო აქტივობების და ამ გზით შემოსავლების მიღების წინააღმდეგ ბრძოლა;
- საეჭვო რეპუტაციის მქონე ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან თანამშრომლობაზე უარის თქმა;
- სადაზღვევო სექტორს შიგნით და მის მიღმა ურთერთპატივისცემასა და თანადგომაზე დამყარებული პროფესიული კომუნიკაციის უზრუნველყოფა;
- სადაზღვევო საზოგადოების შიგნით ურთიერთკავშირების გამყარება, სადაზღვევო ბაზრის პროფესიული გაერთიანებების მნიშვნელობის გაზრდა სადაზღვევო ბაზრის და მისი თვითეული მონაწილის უფლებების და კანონიერი ინტერესების დასაცავად;
- პროფესიული საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, კონფიდენციილური ინფორმაციის და კომერციული საიდუმლოს განუხრელი დაცვის გარანტით;

3.2 სადაზღვევო ბაზრის პროფესიონალმა მონაწილეებმა საკუთარ საქმიანობაში არ უნდა დაუშვან:

- მოქმედი კანონმდებლობის, მორალური ნორმების და საქმიანი ურთიერთობების დადგენილი წესების და საუკეთესო პრაქტიკის დარღვევა;
- ბაზრის ნებისმიერი სუბიექტის უფლებების, კანონიერი ინტერესების და დირსების შელახვა;
- მომხმარებლის უფლებების იგნორირება და მასზე კანონსაწინააღმდეგო ან არაეთიკური ფორმით ზემოქმედება;
- კლიენტებისთვის და საქმიანი პარტნიორებისთვის დაუსაბუთებელი და კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი შედავათების დაწესება;
- ფინანსური, მორალური და სხვა სახის დახმარების აღმოჩენა სადაზღვევო ბაზრის მიმართ არაკეთილგანწყობილი სუბიექტების, ასევე რადიკალური და ექსტრემისტული მიმართულების დაჯგუფების მიმართ.

3. მომხმარებლის ინტერესებზე ორიენტირებულობა

მუხლი 4.

სადაზღვევო კომპანიებსა და მათ კლიენტებს შორის ეფექტიანი, გამჭვირვალე, წარმატებული, გრძელვადიანი და ორმხრივად სასარგებლო თანამშრომლობისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფად,

სადაზღვევო ასოციაციის წევრი სადაზღვევო კომპანიები თანხმდებიან შემდეგ პრინციპებზე:

- 4.1. მომხმარებლად მიჩნეულია პირადი საჭიროებისათვის სადაზღვევო პროდუქტების გამოყენებელი, შემძენი, შემკვეთი ან ასეთი განზრახვის მქონე ფიზიკური ან იურიდიული პირი;
- 4.2. მომხმარებლის მიმართ საკუთარ პოლიტიკას და საქმიანობის მეთოდებს სადაზღვევო ასოციაციის წევრი სადაზღვევო კომპანიები აყალიბებენ სამართლიანობის და პატიოსნების პრინციპების შესაბამისად და არ ისახავენ მიზნებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მომხმარებელთა ინტერესებს.
- 4.3. სადაზღვევო კომპანიებმა საქმიანობა უნდა აწარმოონ კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაყრდნობით, რათა დაიცვან მომხმარებლის ინტერესები, დადგენილი პროცედურები და წესები.
- 4.4. სადაზღვევო კომპანიები იღებენ ვალდებულებას, მომხმარებელთან წინააღმდეგობის გაჩენის შემთხვევაში, შეასრულონ მიღწეული შეთანხმებები და არ დაუშვან მომხმარებლის საზიანო გადაწყვეტილების მიღება.
- 4.5. სადაზღვევო კომპანიებმა უნდა გამოიჩინონ სოლიდარობა თაღლითობასთან და არაკეთილსინდისიერებასთან ბრძოლაში, არ მიიღონ სადაზღვევო რისკები იმ პირებისა და ორგანიზაციებისგან, რომლებიც ბოროტად იყენებენ სადაზღვევო კომპანიების ნდობას. ამავე დროს, კომპანიებმა ყველანაირი ძალისხმევა უნდა მიმართონ საიმისოდ, რომ ამ პროცესში არ შეილახოს კეთილსინდისიერი მომხმარებლის კანონიერი უფლებები და ინტერესები.
- 4.6. მარკეტინგული და სარეკლამო კამპანიები და სადაზღვევო პროდუქტების დაგეგმვა და პოპულარიზება უნდა მოხდეს იურიდიულად გამართული ფორმით – კეთილსინდისიერი კონკურენციის საფუძველზე, რაც გამორიცხავს მომხმარებელთა ნდობის ბოროტად გამოყენებას, ასევე მათი გამოუცდელობით და არასაკმარისი ცოდნით სარგებლობას შემოსავლის არამართლზომიერად გასაზრდელად.

მუხლი 5.

კონფიდენციალურობა და ობიექტურობა

სადაზღვევო კომპანიები აცნობიერებენ, რომ მომხმარებლის და მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, ასევე ფაქტებისა და მოვლენების შეფასებების ობიექტურობა საქმიანი ეთიკის მნიშვნელოვანი საფუძვლებია. აქედან გამომდინარე, სადაზღვევო კომპანიები იღებენ ვალდებულებას:

- 5.1. არ გაამჟღავნონ ან გაავრცელონ ნებისმიერი ინფორმაცია როგორც საკუთარი, ასევე კონკურენტების კლიენტების, მათი ფინანსური მდგომარეობის და სადაზღვევო შემთხვევების შეფასების შესახებ.
- 5.2. ჭეშმარიტების დასადგენად, სადაზღვევო კომპანიამ თვითეული სადაზღვევო შემთხვევის გამოსაკვლევად უნდა ისარგებლოს კვალიფირებული

სპეციალისტის დახმარებით, არ გააკეთოს მომხმარებლის საზიანო დაუსაბუთებელი დასკვნა, წინასწარი განწყობის გარეშე მიიღოს ახალი ფაქტები და მტკიცებულებები და იყოს მზად საკუთარი დასკვნის გადასასინჯად.

მუხლი 6.

პასუხისმგებლობა

სადაზღვევო ინდუსტრიისადმი ნდობის გასამყარებლად, მომხმარებლის კანონიერი უფლებების და ინტერესების დასაცავად, სადაზღვევო კომპანიები კისრულობენ ვალდებულებას:

6.1. განუხრელად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები მომხმარებელთან დადებული სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში;

6.2. უზრუნველყონ სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესრულება და არ ეძებოს მიზეზები უკვე ხელმოწერილი ხელშეკრულებების პირობების მომხმარებლის საზიანოდ გადასასინჯად.

6.3. გაგებით მოეკიდონ ყოველ სადაზღვევო შემთხვევას და არ დაუშვან მის შედეგად წარმოქილი ვითარების დამძიმება მომხმარებლის საზიანოდ.

6.4 იზრუნონ საკუთარ ფინანსურ მდგრადობაზე და არ დაუშვან რისკიანი ოპერაციების განხორციელება, ასევე ნიხევების დაუსაბუთებელი შემცირება, რაც არ უზრუნველყოფს იმ ოდენობის სადაზღვევო რეზერვების ფორმირებას, რომელიც აუცილებელია მომხმარებელთა წინაშე ნაკისრი ვალდებულებების დასაფარად.

6.5. ინტენსიურად გაცვალონ ინფორმაცია პარტნიორთა მიერ დაზღვევის ხელშეკრულებების პირობების შესრულების მდგრადობის შესახებ, მომხმარებლისთვის სასიკეთო პრაქტიკის წასახლისებლად და ნეგატიური ფაქტების გამოვლენა-აღმოფხვრის მიზნით.

4. ბიზნესის შიდა გარემოს გაუმჯობესება

მუხლი 7.

სადაზღვევო კომპანიების შიდა გარემოს გაუმჯობესებისა და გაჯანსაღების, ასევე მომხმარებლის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებისა და მასზე ორიენტირებული საქმიანობის წახალისებისთვის, სადაზღვევო კომპანები კისრულობენ ვალდებულებას:

7.1. აწარმოონ დია პოლიტიკა სამუშაოს ანაზღაურებასთან, პრემიებთან და სხვა პირობებთან დაკავშირებით, რაც ჩადებულია კოლექტიურ და ინდივიდუალურ დასაქმების კონტრაქტებში, კომპანიის შინაგანაწესა და სხვა მსგავს შიდა დოკუმენტებში.

7.2. უზრუნველყონ თანაბარი სამუშაო პირობები, ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს და გაატარონ არადისკრიმინაციული პოლიტიკა

დაქირავების, დაწინაურების, ანაზღაურების, დამატებითი სოციალური გარანტიების, თანამშრომელთა პროფესიული ზრდისა და მათი მხრიდან ბიზნესისადმი ლოიალობის წახალისებისათვის.

7.3. ებრძოლონ გენდერული დისკრიმინაციის ფაქტებს და დაამკვიდრონ გენდერული თანასწორობისადმი, რაც თანამშრომლებს შორის თანაბარი კონკურენტული გარემოს შექმნის ერთ-ერთი პირობაა.

7.4. უზრუნველყონ ხელმძღვანელ პირთა ხელმისაწვდომობა და გახსნილობა თანამშრომელთა საქმიან წინადადებათა მიმართ.

7.5. თავი აარიდონ პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტს, რაც კონფლიქტში მოდის ბიზნესისადმი მის პასუხისმგებლობასთან ან ნეგატიურად მოქმედებს მასზე ამ პასუხისმგებლობის განხორციელებისას.

7.6. უზრუნველყონ დაქირავებულთა მუდმივი პროფესიული ზრდა მათ მიერ დაკისრებული მოვალეობის უკეთესად შესრულების და მომხმარებლის ინეტერესების უკეთ გაცნობისა და გათვალისწინების მიზნით.

საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის ეთიკის კოდექსი ხელმოსაწერად და შესასრულებლად აუცილებელია ასოციაციის წევრი ან წევრობის მსურველი ყველა კომპანიისთვის.